პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

25 ივლისი შაბათი 1987 წ. ◆ № 4 (3006) ◆ 25 ИЮЛЯ СУББОТА 1987 Г. ◆ ფასი 3 კაპ. ЦЕНА 3 КОП.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**17 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს 1987 წლის პირველ ნახევარში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები, აგრეთვე დისციპლინის, წესრიგისა და კანონიერების განსამტკიცებლად მუშაობის მდგომარეობისათვის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებლობის გაზრდის ღონისძიებანი.**

**საქართველოს** სსრ პროკურორის ვ. ა. რაზმაძისა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის შ. ვ. გორგოძის ინფორმაციებში, ორატორთა გამოსვლებში გულდასმით იყო გაანალიზებული კანონიერების მდგომარეობა და ოპერატიული ვითარება, გამოავლინეს არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების მიზეზები, დასახეს მათი აღმოფხვრის კონკრეტული გზები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის საქმეში მნიშვნელოვანია პრაქტიკული შედეგები, ისინი კი ჯერჯერობით საკმარისი როდია. ლოკალური ამოცანების, ცალკეული საკითხების გადაჭრას არ მოსდევს ის ძვრები დისციპლინისა და წესრიგის დამყარებისათვის მუშაობაში, რომლებსაც მშრომელები გარდაქმნისაგან ელიან.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს თბილისში შექმნილი არასასურველი სიტუაცია, სადაც გახშირდა მძიმე დანაშაულობათა შემთხვევები, ამასთან მათ ცუდადაც ხსნიან.

სამართალდაცვითი საქმიანობის კონკრეტული მიმართულებებიდან კვლავ აქტუალურია უშრომელ შემოსავალთან ბრძოლის საკითხი. სტაბილურად გახშირდა წვრილმანი დატაცებანი. კვლავინდებურად ვერ არის დაყენებული სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე. ამიტომ ამხანაგი ბ. ჰანტურიშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. სიდამონიძე, რომელიც ამ დარგს კურირებს, მოვალენი არიან კრიტიკულად შეაფასონ დაქვემდებარებული აპარატების საქმიანობა, გამიჯნონ ისინი თანამშრომლებისაგან, რომლებსაც არ შეუძლიათ და არ სურთ აღკვეთონ უკანონო გამდიდრების წყაროები.

დიდია ლოთობის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულობათა ხვედრითი წილი, განსაკუთრებით დიდია იგი მარნეულში, ტყიბულში, გორსა და დმანისის, ლაგოდეხის, თეთრი წყაროს, თიანეთის, საჩხერის, ზესტაფონისა და წულუკიძის რაიონებში.

ქალაქ თბილისში, გორსა და ფოთში, საგარეჯოს, ლაგოდეხის, თერჯოლის, ჩხოროწყუს, თელავის, წულუკიძისა და მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში მექრთამეობის ფაქტებს დროულად არ აღკვეთენ შესუსტებულია აქტიურობა ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელთა მხილებაშიც.

ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებთან ბრძოლის ძირითადი ტვირთი მაინც ადმინისტრაციულ ორგანოებს აწვება. აქ არ შეიძლება მუშაობდნენ არაკეთილსინდისიერი თანამშრომლები, რომლებსაც თავიანთი პროფესიული და მორალური თვისებების თვალსაზრისით უფლება არა აქვთ ადამიანთა ბედ-იღბალს წყვეტდნენ. ეს უკვე მიუთითეს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს. მაგრამ ვითარების გაჯანსაღების პროცესი მეტად ნელა მიმდინარეობს, ზშირად კი საერთოდ არაფერი არ იცვლება. მაგალითად, ელემენტარული წესრიგი ვერ დამყარდა ავტოგზებზე. უნდა აღინიშნოს, რომ წულუკიძის რაიონში ლოთობისათვის დასჯილი მძღოლები არხეინად განაგრძობენ მუშაობას სატვირთო ავტომანქანებზე. სახელმწიფო ავტოინსპექციის გურჯაანის ქვეგანყოფილების ავტოინსპექტორმა როსტიაშვილმა კი, შეადგინა რა ოქმი ნასვამი მძღოლის დაკავების შესახებ, დათანხმდა ათას მანეთად მიეყიდა ეს დოკუმენტი, მაგრამ ქრთამის აღების მომენტში იგი დააპატიმრეს.

გზებზე დისციპლინის განმტკიცებით უფრო მეტად უნდა დაინტერესდნენ ამხ. გ. ცინცაძე და შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. შადური. მინისტრის მოადგილემ კადრების ნაწილში ე. ვასილიევმა უნდა უზრუნველყოს მილიციის მუშაკთა უღირსი ქცევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. სხვაგვარად ბოლო ვერ მოეღება ისეთ ინციდენტებს, როგორიც მოხდა თერჯოლაში, სადაც რაიონის სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელები (ახლა უკვე ყოფილი ხელმძღვანელები) სრული შემადგენლობით „შეზარხოშებულნი" რესტორნიდან ბრუნდებოდნენ და ორი მათგანი ავარიაში მოჰყვა.

თავიანთ სფეროებში პასუხისმგებლობა დაეკისრათ ვ. შარაშენიძეს, ვ. რაზმაძეს, შ. გორგოძეს და ა. კარანაძეს.

სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრებისათვის ბრძოლა ყველას და თითოეულის საქმეა. ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებს ყველა ერთად უნდა აღვუდგეთ წინ.



Бдительно осуществляют контроль за оперативной обстановкой в столице нашей республики сотрудники дежурной части УВД Тбилгорисполкома. Большой опыт помогает майорам милиции, начальнику дежурной службы УВД г. Тбилиси А. Иванченко и оперативному дежурному Г. Арутюнову четко и своевременно реагировать на поступающие из разных концов города тревожные сигналы. Прием информации осуществляет оператор пульта 02 младший сержант милиции М. Гогишвили.

Фото А. Антоняна.



## ВАЖНЫЙ ФАКТОР ПЕРЕСТРОЙКИ

Краеугольным камнем дальнейшего развития гласности и демократии является работа с письмами, жалобами и заявлениями трудящихся, которая, как указывалось в материалах XXVII съезда КПСС, служит важным фактором укрепления связей партии с массами.

В процессе перестройки работы органов внутренних дел республики письмам трудящихся уделяется большое внимание. Чуткое и внимательное отношение к письмам граждан, принятие конкретных мер по их своевременному и объективному рассмотрению — партийный и служебный долг каждого сотрудника органов внутренних дел, определяемый, помимо всего прочего, соответствующими нормативными документами.

В целях организационного обеспечения работы с письмами, в соответствии с разработанным планом, секретариатом МВД ГССР систематически изучается ее состояние в службах центрального аппарата министерства и подведомственных органах внутренних дел. Подготавливаются для практического руководства обзорные письма с указанием наиболее характерных недостатков, а также конкретными рекомендациями по улучшению этой работы.

Благодаря целенаправленному осуществлению мероприятий, проводимых с учетом требований Постановления ЦК КПСС «О дальнейшем укреплении социалистической законности и правопорядка, усилении охраны

(продолжение на 2-й стр.)

## სამინისტროს პარტიულ კომიტეტში

**23 ივლისს** გაიმართა პარტიული კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს შემდეგი საკითხები: საქართველოს სსრ შს სამინისტროს პარტიული კომიტეტის 1986 წლის 28 თებერვლის სხდომის გადაწყვეტილების — „საქართველოს კპ ცკ 1986 წლის 25 მარტის ბიუროს დადგენილების „სკკპ XXVII ყრილობის შუქზე რესპუბლიკაში მექთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" — შესრულება; წლის პირველ ნახევარში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მათზე რეაგირების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ; სახელმწიფო ავტოინსპექციის გურჯაანის მოტომექანიზებული ქვეგანაყოფის თანამშრომლის მიერ ქრთამის გამოძალვის ფაქტზე; საქართველოს სსრ შს სამინისტროს პირველად პარტიულ ორგანიზაციებში და პარტჯგუფებში, სადაც ირიცხება 15 წევრზე ნაკლები, საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების გრაფიკის დამტკიცება და სხვა მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს ინფორმაციები აღნიშნულ საკითხებზე; გაიმართა კონკრეტული, პრინციპული და გულახდილი მსჯელობა.

მიიღეს შესაბამისი დადგენილებანი კონკრეტული მიმართულებით მუშაობის სრულყოფის მიზნით.

სახელმწიფო ავტოინსპექციის ზოგიერთ თანამშრომელს დაედო პარტიული ჯასჯელი.

მიღებული დადგენილების შესრულება აყვანილია კონტროლზე და მისი განხორციელების მიმდინარეობა განიხილება პარტიული კომიტეტის შემდეგ სხდომებზე.

## ХРОНИКА

Приказом министра внутренних дел республики майор милиции К. Кобиашвили назначен на должность заместителя начальника отдела, он же — начальник отделения УБХСС МВД ГССР по борьбе с хищениями в торговле и спекуляцией.

—◆—

Приказом министра внутренних дел республики майор милиции З. Угрехелидзе назначен на должность заместителя начальника ОВД Болнисского райисполкома по оперативной работе.

## დღეს ნომერში:

## საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო: გარდაქმნის გზით







დღეს შრომა-განწონების დაწესებულებების სამმართველო სამინისტროს ის რგოლია, სადაც აქტიურად მიმდინარეობს გარდაქმნის პროცესი. რა თქმა უნდა, ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული რეალური გარდაქმნის გზაზე. მთავარი კი ის არის, რომ სამმართველოს ხელმძღვანელობა თვითკრიტიკულად აფასებს შექმნილ ვითარებას: სწორი დასკვნები გამოაქვს სამართლიანი კრიტიკიდან. პირველი შედეგები გვაფიქრებინებს, რომ წარმატება მოკლე ხანში ხელშესახები გახდება.

იხილეთ მე-4 გვერდი

# ВАЖНЫЙ ФАКТОР ПЕРЕСТРОЙКИ

(окончание)

прав и законных интересов граждан», в последнее время достигнуты определенные положительные результаты. Анализ динамики поступающих писем и заявлений показывает, что их количество, по сравнению с аналогичным периодом прошлого года, сократилось почти на двадцать процентов.

Наряду с письмами для более полного обеспечения законных интересов граждан проводятся конкретные мероприятия по совершенствованию системы их приема руководством МВД ГССР как в центральном аппарате, так и при выезде в различные регионы республики.

Однако, наряду с имеющимися положительными результатами, есть еще немало проблем и серьезных недостатков. Не может не тревожить высокий уровень обращений граждан по вопросам предотвращения и раскрытия краж личного имущества, преступлений против личности, охраны общественного порядка, отбытия наказаний и перевоспитания осужденных и многим другим.

Несмотря на общее улучшение исполнительской дисциплины, продолжают иметь место факты реагирования на заявления с нарушением установленных сроков.

Все еще велико число повторных обращений. Наибольшее количество подобных писем получено в нынешнем году от жителей Тбилиси, Абхазской и Аджарской АССР, г. Кутаиси, Болнисского, Марнеульского и других районов. В письмах граждане в основном затрагивают вопросы необъективного ведения следствия и допускаемой в этом деле неоправданной волокиты, нарушений соцзаконности сотрудниками органов ВД и т. д. Повторные заявления граждан зачастую вызываются недоработками на местах в организации приема посетителей. Причем наибольшее число повторных обращений фиксируется именно из тех районов, где эта работа поставлена слабо, либо не ведется вовсе. В нынешнем году большинство принятых в центральном аппарате граждан были жителями Тбилиси, Рустави, Кутанси, Горийского, Мцхетского, Зестафонского и других районов.

По результатам проведенной проверки подобный формализм в работе с письмами выявлен в Телавском, Ахметском, Гурджаанском, Лагодехском, Кварельском, Цителцкаройском и ряде других РОВД. В первую очередь это обусловлено тем, что руководство этих райотделов внутренних дел не уделяет должного внимания этой работе, не принимает необходимых мер по скорейшему и полному искоренению имеющихся на этом участке недостатков. К этому следует добавить слабое знание отдельными сотрудниками регламентирующих работу с письмами нормативных актов. Как результат этого — многочисленные нарушения делопроизводства, отсутствие должного учета и контроля за исполнением поступающих писем.

Зачастую при рассмотрении писем и жалоб граждан исполнители не вникают в существо затрагиваемых вопросов, дают заявителям неполные, односторонние ответы. Естественно, что такой бюрократический подход вызывает справедливое недовольство граждан, вынужденных обращаться в центральный аппарат МВД республики и вышестоящие партийные и советские органы, тратить силы и время для решения вопросов, входящих в компетенцию руководителей РОВД.

В настоящее время с учетом отмеченных недостатков в целях коренной перестройки и дальнейшего совершенствования работы с обращениями трудящихся всем отраслевым службам министерства и руководителям горрайлинорганов необходимо сконцентрировать усилия на всемерном повышении качественного уровня работы с письмами и приема граждан. Четкое выполнение этой задачи позволит нам достичь более тесных контактов с населением и на этой основе добиться усиления борьбы с преступностью, дальнейшего укрепления правопорядка и соцзаконности в республике.

**И. БАРСКИЙ,**
подполковник внутренней службы, начальник секретариата МВД ГССР.

---

უხერხულობის განცდა გეუფლება, როდესაც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ისეთ ფაქტზე წერ, სადაც დამნაშავედ გვევლინება ორგანოს თანამშრომელი. შემთხვევათა ნაწილი ზოგიერთი თანამშრომლის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების ელემენტარული მოთხოვნების უგულვებელყოფის, მოძრაობის სხვა მონაწილეებთან შედარებით არაფრით გამართლებული „პრივილეგიის" და, ასე განსაჯეთ, „დაუსჯელობის" გრძნობის შედეგად მოხდა. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წლის 6 თვეში მომხდარი ოცამდე შემთხვევიდან თითქმის ნახევარი ღერძულა ხაზის გადაკვეთის და შემხვედრი მოძრაობის ზოლზე გადასვლის შედეგია. როგორც იტყვიან, შემთხვევითობისაგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ როდესაც შემთხვევითობას ცვლის „კანონზომიერება" თავისი შორსმიმავალი ნეგატიური მიზეზებით, ეს სამართლიან აღშფოთებას იწვევს და ქმედითი პროფილაქტიკური ღონისძიებების გადაუდებლად გატარებას მოითხოვს.

რაოდენ უსუსურად და დანაშაულებრივად გამოიყურება პროფესიონალური პასუხისმგებლობის თვითშეგნების შემცვლელი ყალბი პროფესიული „ყოყოჩობა", ზემოხსენებული ეფემერული „პრივილეგია" და „დაუსჯელობა", როდესაც წარმოიდგენ მათი მიზეზით დაღუპულთა 7 ოჯახში დატრიალებულ ტრაგედიას, 26 შერყეულ ჯანმრთელობას; წარმოიდგენ თანამშრომელს, რომელმაც უოვლად გაუმართლებლად გასწირა უდანაშაულო მოქალაქის, საკუთარი ახლობლებისა და თავისი სიცოცხლეც მაშინ, როდესაც, შეიძლება იმავე წუთს, მისი კოლეგა სხვა მოქალაქის უფლებების დაცვის და სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, მაღალი პროფესიონალური მოვალეობის გრძნობით საფრთხეში აგდებს საკუთარ სიცოცხლეს. ასეთი მაგალითი გაცილებით ბევრი გვაქვს, მაგრამ კეთილ ნამოქმედარს ძალა აკლდება, საქმე ბოლომდე ვერ კეთდება, როდესაც მარჯვენა ხელს მარცხენა უშლის.

ერთი რამ კი ცხადია — შექმნილი ვითარება იმის შედეგია, რომ ამ საკითხში რაღაც გამოგვრჩა, ვიღაცას ყურადღება დავაკელით, სადღაც მოვადუნეთ სიფხიზლე და პასუხისმგებლობა. სხვა რით შეიძლება ავხსნათ ის, რომ მიმდინარე წლის 6 თვეში რესპუბლიკის მასშტაბით მომხდარ შემთხვევათა შორის პროცენტულად ძალზე მაღალია იმ შემთხვევათა რაოდენობა, რომლებშიც თანამშრომლებს მიუძღვით ბრალი. ვფიქრობთ, ამან საკმაო ჩაფიქრალი და სამუშაო უნდა გაუჩინოს შს ორგანოების ხელმძღვანელებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით სამინისტროს ხელმძღვანელობამ არაერთი მითითება და წერილი გაგზავნა ადგილებზე, მაინც აღინიშნება საგრძნობი ნაკლი ამ პრობლემით დაინტერესების საქმეში. მცირეა იმ ხელმძღვანელთა რიცხვი, რომლებიც პერიოდულად ამოწმებდნენ თანამშრომელთა პირად მფლობელობაში მყოფ ავტოტრანსპორტსა და სათანადო საბუთებს. ამის შედეგად ისინი ვერ ფლობენ არსებულ ვითარებას, არადა შეგვიძლია დავარწმუნოთ, რომ მსგავსი ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარებისას ბევრ საინტერესო და მათთვის მოულოდნელ ფაქტსაც კი აღმოაჩენენ. მაშ იქნებ ჯერ საკუთარ ოჯახში დავამყაროთ წესრიგი, რათა სხვისგან მოთხოვნის მორალური უფლება გვქონდეს?

კიდევ ერთი: ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესების კონკრეტული გამოხატულება იყო აღნიშნულ საკითხში არსებული რიგი შეზღუდვების მოხსნა. როგორიც იყო, მაგალითად, სსრკ შს სამინისტროს 1984 წლის მითითება და საქართველოს შს სამინისტროს 1972 წლის ბრძანება — თანამშრომელთა მიერ ავტოტრანსპორტის მინდობილობით მართვის საკითხში. მაგრამ ზოგიერთების მიერ ამ მინიჭებული უფლებების ბოროტად გამოყენებამ წამოსწია უოველგვარი მინდობილობის გარეშე უცხო პირთა ავტომანქანების მართვის პრობლემა. ასეთი ფაქტები წლის პირველ ნახევარში მომხდარ საგზაო შემთხვევათა 30%-ში (!) გამოვლინდა. დემოკრატიზაციის პროცესის პრაქტიკული განხორციელება მოიცავს განმარტებით პროფილაქტიკურ და მაკონტროლებელ ღონისძიებათა კომპლექსს, რათა სწორად იქნეს რეალიზებული მისი პრინციპები, მაგრამ როგორც ჩანს, შს ორგანოების ხელმძღვანელი შემადგენლობის გარკვეული ნაწილი სათანადოდ ვერ ახორციელებს მათ და შედეგიც უმალ იჩენს ხოლმე თავს. შემდეგ კი დგება პასუხისმგებლობის საკითხი. მიმდინარე წლის 3 იანვარს მინდობილობის გარეშე ავტომანქანის მართვისას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მოხდენისათვის, რის შედეგადაც დაიღუპა ორი და სხეულის დაზიანება მიიღო სამმა მგზავრმა, დამნაშავეს, გუდაუთის შს განყოფილებასთან არსებული არასაუწყებო დაცვის ქვეგანყოფილების მილიციელს რ. ფათცხვარიას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. პატიმრობაშია აყვანილი და ბრალდება წარედგინა სამინისტროს სასწავლო ცენტრის თანამშრომელს, მილიციის ლეიტენანტ გ. მაჭარაშვილს, იგი 31 მაისს მანქანით დაეჯახა ფეხით მოსიარულეს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან დაკავშირებით თანამშრომელთა საქმეს სწავლობენ თბილისის (3), სიღნაღის, ხობის, თელავის, ბათუმის, ლანჩხუთის, თერჯოლის, მცხეთის პროკურატურები. მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევის მსხვერპლი გახდა ახალქალაქის შინაგან საქმეთა განყოფილებასთან არსებული არასაუწყებო დაცვის უფროსი ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი ს. ხმოიანოვი, ექვსმა თანამშრომელმა მიიღო სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება. დამეთანხმებით, ძალზე ძვირი საზღაურია.

და კიდევ ერთი — სიმხდალე, დიახ, სიმხდალე გამოიჩინა ჩვენმა სამმა თანამშრომელმა. მას შემდეგ, რაც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოახდინეს, უმწეოდ მიატოვეს თავისივე მიზეზით გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანები და ცდილობდნენ ლაჩრულად მიმალულიყვნენ.

უნებლიეთ იბადება კითხვა: იქნებ ვინმეს ეს უმნიშვნელო საკითხად მიაჩნია?

ამა წლის 17 ივლისს გამართულ თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, შ/ს გენერალ-მაიორმა შ. გორგოძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „უხერხულიც კი არის წესრიგის დამცველებს წესრიგზე მიუთითო, მაგრამ შექმნილი ვითარება მოითხოვს ამას". დღეს ჩვენ ხშირად მოგვიხდება ამ სიტყვების გამეორება, რათა ქმედითი ღონისძიებებით შევძლოთ თანამშრომელთა აზროვნების გარდაქმნა, მათ შეგნებაში არსებული მცდარი სტერეოტიპების დაძლევა, რაზეც გაზეთის ფურცლებზე მომავალშიც გაგრძელდება საუბარი.

## კანონი ყველასათვის ერთია

**კონტროლზეა აქტუალური საკითხი**

ანუ რატომ მომრავლდნენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დამრღვევი თანამშრომლები



**ა. კობალაძე.**

---

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

## საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1987 წლის 3 მარტისა — „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე";

1987 წლის 3 მარტისა — „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე";

1987 წლის 10 აპრილისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 29-ე მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე";

1987 წლის 15 აპრილისა — „საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ";

1987 წლის 22 აპრილისა — „ამხანაგური სასამართლოების შესახებ" დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;"

1987 წლის 17 ივნისისა — „ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე";

1987 წლის 19 ივნისისა — „არაყის შინ გამოხდისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე";

1987 წლის 22 ივნისისა — „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 18 ივლისი.**

---

# И СЛОВО СТАЛО ДЕЛОМ

Высоких результатов по всем компонентам оперативно - служебной деятельности добивается в последнее время коллектив Ленинского РОВД г. Тбилиси, вышедший по итогам соцсоревнования двух кварталов нынешнего года на одно из ведущих мест в системе МВД республики.

Определяющим переломным моментом в работе этого РОВД, ранее не отличавшегося особенно хорошими результатами, стало состоявшееся в феврале месяце нынешнего года партийное собрание коллектива. В ходе откровенного и делового разговора между сотрудниками были отмечены все имеющиеся в организации соцсоревнования недостатки. А их, что греха таить, было немало, — взятые соцобязательства оставались зачастую только на бумаге, многие сотрудники проявляли инертность, безразличие, работали спустя рукава, по старинке.

«Именно в результате состоявшегося на собрании делового разговора и произошла перестройка мышления многих членов коллектива, были намечены пути скорейшего устранения формализма из соцсоревнования, — рассказывает начальник политчасти РОВД капитан милиции Г. Мамеишвили, — все это оздоровило обстановку в коллективе, создало предпосылки для улучшения работы всех отделений».

И, действительно, результат не замедлил сказаться — личный состав во II квартале по, сравнению с аналогичным периодом прошлого года, значительно улучшил свою работу. В частности, уменьшилось общее число правонарушений, сократились особо опасные преступления, процент их раскрытия стабильно высок. Возросла требовательность руководства, улучшилась работа групп политических занятий, повысилась ответственность и дисциплина личного состава, в результате чего во втором квартале не зафиксирован ни один факт нарушения соцзаконности сотрудникам и РОВД.

Большой вклад в эти успехи внесли лучшие сотрудники коллектива, такие, как начальник первого отделения капитан милиции Т. Бичашвили, старший оперуполномоченный ОУР старший лейтенант милиции Т. Джиадзе, старший следователь СО старший лейтенант милиции К. Маслов, старший участковый инспектор майор милиции Л. Гогнадзе, участковый инспектор капитан милиции В. Махачашвили и многие другие, эффективно и целенаправленно выполняющие свои профессиональные обязанности.

«Успехи, конечно, радуют, но наш коллектив не собирается останавливаться на достигнутом, — продолжает Г. Мамеишвили, — немало резервов совершенствования оперативно - служебной деятельности еще не приведено в действие, не полностью справляются со взятыми соцобязательствами некоторые молодые сотрудники. Так что работы впереди еще очень много — ведь скоро весь наш народ будет праздновать 70-летие Великой Октябрьской Социалистической революции и советской милиции и наш коллектив полон решимости ознаменовать эти славные юбилейные даты новыми высокими достижениями в укреплении правопорядка и социалистической законности».

**А. ЦАТУРОВ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Министерство внутренних дел ГССР — на пути перестройки

## Правофланговые УИТУ МВД ГССР



Всегда образцово выполняет свои служебные обязанности главный инженер исправительно-трудового учреждения УИТУ МВД ГССР майор внутренней службы Н. Кумсишвили. Неоднократно признавался победителем соцсоревнования разных лет, коммунист Н. Кумсишвили записан в Книгу трудовой славы ГУИТУ и Политотдела ИТУ МВД СССР, награжден нагрудным знаком «За отличную службу в МВД».



Более двух десятков лет исправно несет службу в органах ВД республики дежурный помощник начальника исправительно - трудового учреждения майор внутренней службы Ш. Шалвашвили. Победитель соцсоревнования третьего года XI пятилетки, Ш. Шалвашвили за отличные успехи в служебной деятельности награжден двумя медалями «За безупречную службу в МВД» II и III степеней.

## უზრუნველვყოთ საქმისადმი კომპლექსური მიდგომა

### საერთო ძალისხმევით

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის 19 ნოემბრის დადგენილებაში თვალნათლივ აისახა ის სერიოზული ნაკლოვანებები, რასაც რესპუბლიკის შრომა-გასწორების დაწესებულებების მუშაობაში ჰქონდა ადგილი. ამ დადგენილების მიღების შემდეგ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველომ შეიმუშავა არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა.

მუშაობის გარდაქმნისაკენ მიმართული ღონისძიებანი იმდენად მრავალმხრივი და მასშტაბურია, რომ მისი რეალიზაცია შესაძლებელია გათვალისწინებული ღონისძიებებისადმი კომპლექსური მიდგომით, შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს ყველა სამსახურების მიზანმიმართული, საერთო ძალისხმევით. სამმართველოში გეგმიური საკითხების შესრულებაზე მკაცრი კონტროლია დაწესებული.

იმისათვის, რომ სამმართველოს მუშაობის გარდაქმნა რეალობად გადაქცეულიყო, წინა პლანზე წამოიწია კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის ამაღლების აუცილებლობამ. ცვლილებები მოხდა სამმართველოს კადრების შემადგენლობაში, საჭირო გახდა ადგილობრივ მომუშავე რიგი მუშაკების გადაადგილება, ხოლო ზოგიერთის მიმართ, რომლებმაც ავტორიტეტი დაკარგეს, გატარდა მკაცრი დისციპლინარული ღონისძიებები — მხოლოდ მიმდინარე წლის ექვს თვეში შს ორგანოებიდან დავითხოვეთ 80 თანამშრომელი!

შრომა-გასწორების დაწესებულებების საქმიანობა იმდენად მრავალმხრივია და მრავალი პრობლემის გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული, რომ მოითხოვს ადგილებზე სამმართველოს სისტემატურ დახმარებას და ამასთან ერთად კონტროლის გამძაფრებას. ამის შედეგია ის, რომ რეგულარულად ტარდება შრომა-გასწოოების დაწესებულებათა შემოწმებები. ისინი კომპლექსურ ხასიათს ატარებენ და მოიცავენ მუშაობის ყველა საკვანძო საკითხის ღრმად შესწავლას. მაგალითად: შრომა-გასწორების დაწესებულებაში, რომლის უფროსია შ/ს მაიორი ს. კოვზირიძე. ჩატარებულმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მსჯავრდადებულთა შეღავათზე წარდგენის დროს, ადგილი ჰქონდა კანონის მოთხოვნათა დარღვევის ცალკეულ ფაქტებს. ამის შედეგი იყო ის, რომ სამმართველოს ოპერატიულ თათბირზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ამ დაწესებულების რიგი ხელმძღვანელი მუშაკის მკაცრი დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

იმის გამო, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ოპერატიული ვითარება გართულდა, შრომა-გასწორების დაწესებულებისათვის, რომლის უფროსია შ/ს მაიორი ვ. გაწერელია, პრაქტიკული დახმარების მიზნით მივავლინეთ ბრიგადა სამმართველოს უფროსის მოადგილის, შ/ს პოლკოვნიკ გ. შონიას ხელმძღვანელობით.

სამმართველოს ცალკეული სამსახურების მიერ ადგილებზე კვალიფიციური დახმარების გაწევის სხვა მაგალითების მოყვანაც მრავლად შეიძლება.

### „ქურდულ ტრადიციებს“ — შეურიგებელი ბრძოლა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში ყურადღება გამახვილებული იქნა იმაზე, რომ რესპუბლიკის შრომა-გასწორების დაწესებულებებში ხშირ შემთხვევაში ამინდს ქმნიდნენ მსჯავრდადებულები, რომლებსაც „ლიდერის“ როლი ეკავათ, არ სწარმოებდა ჯეროვანი ბრძოლა ეგრეთ წოდებული „ქურდული ტრადიციების“ მიმდევარ მსჯავრდადებულთა მიმართ. შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველომ, სამინისტროს ხელმძღვანელობის დახმარებით, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ჩვენი საზოგადოების ამ უცხო ანტიპოდებს, ყველა მსჯავრდადებული, რომელიც ლამობდა ეცხოვრა „ჯუნგლის კანონით“, ცდილობდა დაემკვიდრებინა შრომა-გასწორების დაწესებულებებში მათთვის სასურველი კლიმატი, კოლექტივის ინტერესები დაექვემდებარებინა საკუთარი მუქთახორული დანაშაულებრივი ინტერესებისათვის, სამმართველოს ოპერატიული განყოფილებისა და სხვა სამსახურების მეცადინეობის შედეგად ალაგმული იქნენ.

### საჯაროობას — ფართო გზა

მსჯავრდადებულებთან აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის საქმეში დიდ დახმარებას გვიწევენ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ჩვენი საზოგადოება ფართოდ გამოეხმაურა სატელევიზიო გადაცემებს, რომლებიც მიეძღვნა შრომა-აღმზრდელობითი დაწესებულებებიდან მსჯავრდადებულთა ვადამდე ადრე განთავისუფლების ღონისძიებების ჩატარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი საზოგადოების ერთეული ულირსი წევრები შრომა-გასწორების დაწესებულებებს ზედმეტ პრობლემებს უქმნიან მუშაობაში. ზოგიერთი მოქალაქე და თანამშრომელი ცდილობს შეაპაროს შრომა-გასწორების დაწესებულებაში ალკოჰოლური სასმელები, ნარკოტიკული ნივთიერებანი, ფული და სხვა აკრძალული საგნები. ამით ისინი შეგნებულად ცდილობენ დეზორგანიზაცია შეიტანონ ამ დაწესებულებათა მუშაობაში. ასეთ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაში არაერთი პირია მხილებული, ზოგი მათგანი გასამართლებელია და სასჯელს იხდის. მსგავს დანაშაულთა პროფილაქტიკის მიზნით მომზადდა სატელევიზიო გადაცემა, რომელიც გადაიცა საქართველოს ტელევიზიით.

### შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის

მსჯავრდადებულთა შრომითი აღზრდის მიზნების განხორციელების საქმეში უდიდესი როლი ენიჭება რაზმეულის უფროსების მიზანმიმართულ, უნარიან მუშაობას. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში პრაქტიკაში დამკვიდრდა რაზმეულის უფროსების ანგარიშების მოსმენა შრომა-გასწორების დაწესებულებათა უფროსების ოპერატიულ თათბირზე და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. კვანტალიანთან.

მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული იმ მიმართულებით, რომ მსჯავრდადებულებთან აღმზრდელობით მუშაობას მიეცეს გეგმიური ხასიათი.

თუმცა, ეს საკითხი კვლავ მოითხოვს სრულყოფას. ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში, კერძოდ ქალაქ საგარეჯოს სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში, ჯერ კიდევ არაა უზრუნველყოფილი მსჯავრდადებულთა შრომითი აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა.

ჩვენს ქვეყანაში მოსწავლე-ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო სწავლებაზე გადასვლამ კიდევ უფრო გაზარდა შრომა-გასწორების დაწესებულებათა პირადი პასუხისმგებლობა ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმიანობაში. მუშაობის ამ უბანზე მისაბაძ მაგალითს იძლევა შრომა-გასწორების დაწესებულების, რომლის უფროსია შ/ს პოდპოლკოვნიკი ა. გოგოლაური, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შრომა-გასწორების დაწესებულებათა ყველა სკოლა ჯერ კიდევ არ არის მოთავსებული შესაფერის შენობაში, ზოგან სასწავლო ბაზა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. სწორედ ამ საკითხების მოგვარებას ისახავს მიზნად საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, განათლების სამინისტროსა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახ. კომიტეტის 1987 წლის 14 მაისის ერთობლივი დადგენილება.

მას შემდეგ, სახელმძღვანელოდ გამოვიდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის 1986 წლის ბრძანება, ერთგვარად გააქტიურდა შრომა-გასწორების დაწესებულებების საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაზმეულისა და კოლექტივის საბჭოების და დაწესებულებების კოლექტივის საბჭოების, აგრეთვე აღმზრდელთა საბჭოების მუშაობა.

შრომა-გასწორების დაწესებულებათა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლები თვალნათლივ მეტყველებენ, რომ პირადმა შემადგენლობამ დიდი მუშაობა გასწია საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, მაგრამ მსჯავრდადებულთა სრული შრომითი დასაქმების საქმეში კვლავ გაგვაჩნია გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობები. ეს ეხებათ დაწესებულებებს (უფროსები ა. გოგოლაური, შ/ს პოლკოვნიკი ფ. ძიმისტარაშვილი, ს. კოვზირიძე, შ/ს პოდპოლკოვნიკი რ. წერეთელი), რომლებმაც ვერ შეასრულეს ნომენკლატურის მიხედვით პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა.

მიმდინარე წლის განვლილი ექვსი თვის მანძილზე, რესპუბლიკის შრომა-გასწორების დაწესებულებებში მნიშვნელოვნად გააქტიურდა ოპერატიული მუშაობა.

ამასთან ნახევარი წლის შედეგების ანალიზი იმაზეც მიუთითებს, რომ მსჯავრდადებულთა შორის დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გამძაფრება ყველაზე მეტად იმ შრომა-გასწორების დაწესებულებათა შესაბამის სამსახურებს მართებთ, რომელთა უფროსებია შ/ს მაიორები რ. ჩაჩუა, ვ. გაწერელია და ა. გოგოლაური.

### გავაძლიეროთ პარტიული ორგანიზაციების როლი

სკკპ XXVII ყრილობისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ძირეული ცვლილებები მოხდა შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საქმეში. ამაღლდა პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტი, მისმა მუშაობამ შეიძინა მიზანმიმართული ხასიათი. პარტიული ორგანიზაციის ბიურო, მებრძოლურ, პრინციპულ პოზიციას ატარებს პირადი შემადგენლობის მხრივ სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვის საქმეში. ბიუროს სხდომაზე და პარტიული ორგანიზაციის კრებებზე რეგულარულად წარმოებს კომუნისტების ანგარიშების მოსმენა ჩატარებული მუშაობის შესახებ. მათ მუშაობას ეძლევა ობიექტური პარტიული შეფასება.

### ჰუმანური კანონი

ამჟამად შრომა-გასწორების დაწესებულებებში ფართო ფრონტით გაიშალა მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 18 ივნისის ბრძანებულების „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ“ ცხოვრებაში გატარებისათვის. მოსამზადებელი პერიოდი უკან დარჩა, სამმართველოს ცენტრალური აპარატის პირადი შემადგენლობა მობილიზებულია ჰუმანიზმის პრინციპებით გამსჭვალული აქტის წარმატებით განხორციელებისათვის.

**ლ. გორგოძე,**
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველოს უფროსის მოადგილე, შ/ს პოლკოვნიკი.

## მიზანმიმართული მუშაობის შედეგი



სამმართველოს მებოსტნეობა მერძეეობის მეურნეობას თუ ესტუმრებით, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, თითქოს აქ კოლმეურნეები მუშაობენ და არა მსჯავრდადებულები. მეურნეობაში ნამდვილი შრომითი ატმოსფერო სუფევს. ეს იგრძნობა მეურნეობის ყველა უბანზე და შემთხვევითი არაა, რომ იგი გასულ წელს შს სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა. რძისა და ბოსტნეულის გარდა მეურნეობა აწარმოებს მარცვლეულ კულტურებს, აქვს მეღორეობის, მეფრინველეობის ფერმები, სათბურები.

როდესაც მას ვესტუმრეთ, თივის დასამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა. მეურნეობის უფროსი, შ/ს მაიორი რ. ლეკიშვილი და მოადგილე პოლიტაღმზრდელობით დარგში, შ/ს მაიორი გ. ხმალაძე მინდორში იყვნენ გასული.

— ახლა თიბვის სეზონია, — გვითხრა რ. ლეკიშვილმა, — ძალების სრული მობილიზება გვმართებს გეგმის შესასრულებლად. თავს არ შევირცხვენთ, სხვანაირად არც გვეკადრება, მეურნეობას მოწინავის სახელი აქვს და ამ სახელს გამართლება სჭირდება.

აქ 1983 წლიდან სისტემატურად სრულდება გეგმები, 1985 წლიდან მეურნეობა მოგებას იძლევა. წარმატება შემთხვევით არ მოსულა, იგი მიზანმიმართული აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია. ხშირად ტარდება საუბრები, კრებები, კარგად გამოიყურება თვალსაჩინო აგიტაცია, მსჯავრდადებულთა რაზმეულებში ჩამოყალიბებულია კოლექტიური საბჭო, ყველას გარკვეული გეგმა აქვს. შემოღებულია სპეციალური ჟურნალი ძნელადაღსაზრდელ მსჯავრდადებულებთან მუშაობის ჩასატარებლად. მოკლედ, მეურნეობაში ყველა პირობაა შექმნილი, მსჯავრდადებულმა პატიოსანი შრომით რომ გამოისყიდოს დანაშაული. მათი ოჯახის წევრებს შეუძლიათ აქვე იმუშაონ. ანაზღაურება ჩვეულებრივია. ამის მაგალითები აქ მრავლადაა, ზოგიერთის მეუღლე ადმინისტრაციულ აპარატშიცაა დასაქმებული. მსჯავრდადებულთა ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ ახლომდებარე საშუალო სკოლაში. ოჯახებისათვის გამოყოფილია საცხოვრებელი ფართობი.

ყველაფერი ეს სასიკეთო გავლენას ახდენს მათ შრომით მაჩვენებლებზე, მაგალითად ერთი ფაქტიც



შეიძლება მოვიყვანოთ: თუ მსჯავრდადებულ მ. დვალიშვილს 1986 წლის ივნისში გეგმის მხოლოდ 21 პროცენტი ჰქონდა შესრულებული, აქედან მოყოლებული დღემდე 100 პროცენტს აჭარბებს. შეიძლება ითქვას, რომ წარმატებები თვალსაჩინოა, მაგრამ ეს მეურნეობის ხელმძღვანელებს დამშვიდების საბაბს არ აძლევს, ჯერ კიდევ მოსაგვარებელია არცთუ უმნიშვნელო პრობლემები, იყო გაქცევის მცდელობისა და ხულიგნობის ფაქტები. ჯერ კიდევ ვერ დამყარდა ორმხრივ სასარგებლო კონტაქტი ზოგიერთ სახელმწიფო ორგანიზაციასთან — სატყეო მეურნეობა აქამდე ედავება მათ სახნავ-სათესად სავარგულ ფართობს. „საქნავთობის“ მუშაკები მეურნეობის ფართობზე უსისტემოდ დგამენ აუარებელ ჭაბურღილებს. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა მათი მიზეზით 4 ჰექტარ ფართობზე თავთავს ხანძარი მოედო.

ერთი სიტყვით, მეურნეობას გაკეთებულიც ბევრი აქვს და გასაკეთებელიც. იმედი გვაქვს, პრობლემები მალე გადაწყდება. და იგი ისეთი მიზანმიმართული მუშაობის შედეგი იქნება, დღეს რომ ვნვდებით მეურნეობის ხელმძღვანელების მუშაობაში.

---

**გვერდის თემატური მასალები მოამზადეს ვ. ნადირაძემ და ფოტოკორესპონდენტმა ა. გოგოლაძემ.**

НА ФЕСТИВАЛЬНОЙ ОРБИТЕ



# ЖЮРИ ПОДВОДИТ ИТОГИ



На днях в Тбилиси состоялось подведение итогов, объявленного министерством внутренних дел, союзами писателей и композиторов Грузии, республиканского конкурса на создание песен, маршей и поэтических произведений.

Итоги конкурса на создание лучшего музыкального произведения подвело жюри под председательством народного артиста ГССР, профессора И. Кечахмадзе. В состав жюри входили заслуженные деятели искусств ГССР профессор Н. Гудиашвили и О. Горзели, композиторы В. Азарашвили и А. Баскаков, начальник военно - оркестровой службы штаба ЗакВО подполковник В. Маркелия, а также начальники оркестров ЗакВО и МВД ГССР майор В. Тимофеев и капитан милиции Н. Желтухина.

Итоги конкурса на создание поэтических произведений подвело жюри под председательством секретаря правления Союза писателей Грузии Д. Чарквиани. В состав жюри входили главный редактор журнала «Литературная Грузия» профессор Ф. Миминошвили, ответственный секретарь Госкомитета по премиям поэт М. Лебанидзе, поэт М. Поцхишвили и старший инструктор пресс-группы политотдела МВД ГССР писатель Ю. Каченишвили.

НА СНИМКАХ: жюри музыкального конкурса во время работы; за роялем композиторы И. Кечахмадзе и В. Азарашвили.

## წარსულის სტრიქონები

დღეიდან ჩვენს მკითხველებს რუბრიკით „წარსულის სტრიქონები" ვთავაზობთ პრესაში საბჭოთა მილიციის მუშაობის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებს.

**განცხადება**

„6 მარტს, 1921 წელს, ევალება სახლის პატრონებს, პასუხისმგებელ გამგეებს სახლებისას, ბინის დამქირავებელთ, სასტუმროების პატრონებს, და ყველა ქვემდებარე პირთ, სასტიკი თვალყურის დევნებით მოაწყონ ჩაწერა და ამოწერა სახლის დავთრებში ჩამოსულ და გასულ პირთა შესახებ იმ წესით, როგორც არსებობდა დღემდე; დამრღვევნი დაისჯებიან სამხედრო დროის კანონების მთელი სიმკაცრით.

რაიონის მილიციის უფროსებს ევალებათ ამის გატარება ცხოვრებაში.

თბილისის ქალაქის მუშურ-გლეხური მილიციის უფროსი
მ. ჩხეიძე.

გაზეთი „კომუნისტი", №7, 1921 წ.

**ქრონიკა**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, მიღებულია ცნობა, რომ დუშეთის მილიციის მიერ ლიკვიდირებულია ორი ბანდიტი.

გაზეთი „კომუნისტი", 17. XII, 1922 წ.

# ნახევარი საუკუნე ხალხის სამსახურში



ოცი წლის იყო თამარ ფანოზიშვილი, როდესაც საფერშლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიკლინიკაში დაიწყო მუშაობა და უკვე ნახევარი საუკუნეა ეს კეთილშობილი მანდილოსანი პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას.

საქმის ცოდნით და სიკეთით გამორჩეული თამარი ომის შემდეგ სკკპ რიგებში მიიღეს, დააჯილდოვეს მედლებით „სამამულო ომში გამარჯვებისათვის", „შრომითი მამაცობისათვის", „შრომის ვეტერანი", მიღებული აქვს „ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსნის" სამკერდე ნიშანი, ათობით მადლობა და საპატიო სიგელი.

გულისხმიერი ადამიანი, კარგი სპეციალისტი, ტკბილადმოუბარი და კულტურული მედიცინის მუშაკი, — აი, ასე იცნობენ თამარ ფანოზიშვილს თანამშრომლები და ის მადლიერი პაციენტები, რომლებსაც ქალბატონმა თამარმა თავისი ცოდნითა და გულის სითბოთი ჯანმრთელობა დაუბრუნა.

ზ. თათეიშვილი.

# ПРАЗДНИК НАРОДНОГО ТВОРЧЕСТВА

После продолжительных проливных дождей ярким солнцем встречала в этот день Абхазия своих многочисленных гостей. Среди них — самодеятельные коллективы МВД Аджарской АССР, приехавшие, в соответствии с планом фестивальных мероприятий, продемонстрировать свое творчество перед абхазскими коллегами.

По прибытии в Сухуми, где гостей радушно встретили руководители и сотрудники политотдела МВД Абхазской АССР, они были окружены постоянной заботой и вниманием хозяев. Одним из наиболее ярких впечатлений стало для них посещение Новоафонской пещеры. Затем снова в путь — в Гудаутский район, где в помещении летнего театра предстояло выступление перед сотрудниками местного и Гагрского РОВД и членами их семей.

Самодеятельные артисты, конечно, волновались — ведь некоторые коллективы были созданы совсем недавно, в ходе II Всесоюзного фестиваля народного творчества, и делают только первые шаги в сценическом искусстве. Но желание проверить свои возможности и доброжелательность хозяев помогли преодолеть определенную неуверенность.

Грузинские народные мелодии, песни современных композиторов звучали в этот вечер в исполнении хоровых коллективов отделов вневедомственной и пожарной охраны центрального аппарата МВД Аджарской АССР. Специально в честь гостеприимных хозяев мужская вокальная группа сотрудников Хелвачаурского РОВД включила в свой репертуар абхазскую народную песню «Орайда».

Зрители долго не отпускали со сцены сотрудника ОПО Г. Чакалиди, с задором спевшего греческую и тушинскую народные песни, сотрудника Кедского РОВД В. Иремадзе, исполнившего на народном инструменте гибони грузинскую мелодию. Зал замер, когда свое мастерство иллюзиониста начал демонстрировать пожарный ВПЧ-34 г. Батуми О. Абуладзе. Несмотря на все усилия зрители не смогли постичь секреты показываемых им фокусов.

Бурными аплодисментами провожали зрители хореографические ансамбли Кедского и Шуахевского РОВД, виртуозно исполнившие танец «Хоруми» и аджарский народный танец «Гандагана». Когда же уставшие, но довольные своим выступлением гости разместились в зрительном зале, свое искусство показали хозяева — хор милиции Гудаутского РОВД. В их исполнении прозвучали грузинские и русские народные песни, исполнена песня «Разговор матери с сыном», созданная в ходе республиканского конкурса, объявленного МВД, союзами композиторов и писателей ГССР. Место за роялем занял, тепло встреченный зрителями автор музыки — заслуженный деятель искусств Абхазской АССР и Грузинской ССР композитор К. Шенгелия.

В завершение вечера всех участников поблагодарил председатель оргкомитета по проведению фестивальных мероприятий, заместитель министра внутренних дел Абхазской АССР А. Антелава, гостям были вручены памятные подарки. Начальник политотдела МВД Аджарской АССР подполковник милиции И. Цулукидзе поблагодарил хозяев мероприятия за радушный прием и пригласил их приехать с концертом в Батуми. Так закончился этот праздник народного творчества, интернационализма и дружбы... И снова в путь — домой.

В. ТАТАЕВА,
старший лейтенант внутренней службы, инструктор политического отдела МВД ГССР.



НА СНИМКЕ: танец «Гандагана» исполняет солист хореографического ансамбля Шуахевского РОВД М. Путкарадзе.

## ინფორმაცია

# ავტომანქანა კერამიკის ნაწილებით

ცნობილია, რომ ავტომშენებლობის საქმეში წამყვანი ადგილი ლითონს უკავია, თუმცა ამ ბოლო პერიოდში სხვა მასალებს, კერძოდ, პლასტმასის გამოყენებასაც მიჰყვეს ხელი. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, იაპონურმა საავტომობილო ფირმა „ჰონდამ" დაამზადა მსუბუქი ავტომანქანა, რომლის კორპუსის 40 პროცენტი პლასტმასისაა. იაპონელები მიღწეულს არ სჯერდებიან და სულ მალე მასობრივად გამოუშვებენ დგუშებს, ცილინდრის თავებს, საკისარებსა და სხვა ნაწილებს, რომლებიც კერამიკისაგან იქნება გაკეთებული.

კერამიკის გამოყენებაზე ახლა ყველა იაპონური საავტომობილო კომპანია მუშაობს და თვლიან, რომ იგი არაფრით არ ჩამოუვარდება ლითონსა და პლასტმასს.

# ახალი წიგნები

გამოვიდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლევან ალექსიძის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი".

სახელმძღვანელოში განხილულია საერთაშორისო სამართლის ცნებასთან, სოციალურ ბუნებასთან, მის წყაროებთან და სუბიექტებთან დაკავშირებულ საკითხთა მთელი კომპლექსი, მოცემულია საერთაშორისო სამართლის ძირითადი ინსტიტუტების, დარგებისა და ქვედარგების ღრმა ანალიზი.

მომავალი იურისტები და საერთაშორისო პრობლემებით დაინტერესებული მკითხველები ამ წიგნით მრავალ სასარგებლო და საჭირო ცნობას მიიღებენ ჩვენს ქვეყანაში მყოფი უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

● ხაზოგადოება „ცოდნამ" გამოსცა ს. ჯორბენაძის წიგნი „ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის საკითხები".

**ტელევიზია**
(პირველი პროგრამა)
**ხამშაბათი, 28 ივლისი**
21.05 — მოქალაქე, საზოგადოება, კანონი — „შიში" (გადაცემა ეხება ნარკომანიის პრობლემებს).
**შაბათი, 1 აგვისტო**
20.35 — ფხიზელი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის.

**რადიო**
(პირველი პროგრამა)
**პარასკევი, 31 ივლისი**
20.30 — ნარკომანია, ლოთობა, პროფილაქტიკა, შედეგი.



სპორტი — СПОРТ

# სენსაცია არ მომხდარა

— თუ გავიმარჯვებთ, სენსაცია არ იქნება, დამარცხება კი ტრაგედია, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში სოხუმის „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა ანატოლი ნორაკიძემ, — ჩემი ბიჭები თანამედროვე ფეხბურთს თამაშობენ, გადაწყვეტილი მაქვს, სამ წელიწადში ისეთი გუნდი ჩამოვაყალიბო, ოსტატთა გუნდებს რომ არ დაუდებს ტოლს. თუ ეს ვერ შევძელი, ფეხბურთს საერთოდ თავს დავანებებ.

ვინც თვალს ადევნებდა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალურ განმეორებით მატჩს სოხუმისა და მინსკის „დინამოს" შორის, დაგვეთანხმება — სოხუმელთა გამარჯვება სენსაცია არაა. მათ სწრაფად, გააზრებულად ითამაშეს და ბრძოლიდან გამოთიშეს ისეთი კოლექტივი, როგორიც მინსკის „დინამოა".

მინსკში მოკრძალებული მარცხის შემდეგ (1:2), მაინც ცოტას თუ სჯეროდა სოხუმელთა საბოლოო წარმატებისა. საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას" სპორტულ გამოშვებაში კომენტატორმა დაბალი ლიგის გუნდების სავარაუდო ფავორიტებში სოხუმელები საერთოდ არ ახსენა, მოხდა პირიქით: აღნიშნული გუნდების უმრავლესობა მაინც გამოეთიშა გათამაშებას, სოხუმელები კი ითამაშებენ მერვედფინალში, სადაც მათი მეტოქე ხარკოვის „მეტალისტი" იქნება.

მინსკელებთან მატჩში ანგარიში პირველი ტაიმის ბოლოს გახსნა დოჩიამ და აქედან თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მართალია, იგრძნობოდა მინსკელთა უპირატესობა, მაგრამ ამას მატჩის საბოლოო შედეგზე არ უმოქმედია. წარმატება თავისთავად სასიხარულოა, თუმცა, ჩვენი აზრით, მთავარი მხოლოდ გამარჯვება არაა, ძალზე გაგვახარა სოხუმელთა აზროვნებამ მინდორზე. ისინი მართლაც თანამედროვე — სწრაფ, ლაღ, ტაქტიკურად მოქნილ — ფეხბურთს თამაშობენ.

ვ. ნადირაძე.

* * *

თბილისში ძიუდოისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის პირველ დღეს გამოვლინდა ქვემძიმე და მძიმე წონის სპორტსმენთა შორის გამარჯვებულები. ოქროს მედლები მოიპოვეს ტატამის მასპინძლებმა კობა კურტანიძემ და აკაკი კიბორძალიძემ.

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025. გოგოლის ქ. № 23. ტელეფონი:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380025. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 07032

რედაქტორი
ა. კობალაძე